არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა საკითხებში, ბ-ნ ნიკო თათულაშვილს

ბატონო ნიკო,

წინამდებარე წერილით მოგმართავთ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები (იხ. ჩამონათვალი ქვემოთ), რათა კიდევ ერთხელ ღიად გავაცხადოთ ჩვენი პოზიცია საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით[1] და წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩვენს ჩართულობასთან დაკავშირებით.

ხელმომწერი ორგანიზაციები, რომლებიც წლებია, სხვადასხვა ფორმატის გამოყენებით ვიბრძვით, დავიცვათ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და ქალები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლები, ლგბტქი ადამიანები, უკანონოდ დაკავებული, დევნილი, უსახლკარო ადამიანები, პატიმრები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოქალაქეები; ორგანიზაციები, რომლებიც წლებია ვმუშაობთ უკეთესი ინსტიტუციური მოწყობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპთან შესაბამისი რეფორმების გატარებისათვის, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში კოორდინირებულ და ეფექტიან მონაწილეობას.

ამ მიზნით, მას შემდეგ რაც 2023 წლის 3 თებერვლის შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედი გეგმაზე წერილობითი მოსაზრებების წარდგენის ვადად 28 თებერვალი განისაზღვრა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელებს შორის ორი საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციები მზად ვიყავით კოორდინირებულად წარმოგვედგინა წერილობითი მოსაზრებები, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ "უცხოური გავლენის" გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის ინიცირება, მზარდი კონტროლის, შევიწროებისა და რეპრესიების უკვე არსებული რუსული

[1] იხ. 400-მდე ორგანიზაციის საერთო განცხადება: **„რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი",** 21.02.2023, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/pofrst/rusuli-kanoni-ar-aris-saqartvelos-archevani#sthash.uVSieIlr.dpbs, [27.02.2023].

გამოცდილების გათვალისწინებით, პირდაპირ უკავშირდება და შეუძლებელს ხდის სტრატეგიით დასახული და სამოქმედო გეგმით გასათვალისწინებელი ნებისმიერი ამოცანის/აქტივობის ეფექტიან შესრულებას.

მიგვაჩნია, რომ ამ კანონპროექტის მიღება ძირს უთხრის კონსტიტუციურ პრინციპებს და, შედეგად, საფრთხის ქვეშ დგება დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების იდეა, კონსტიტუციური და კონვენციური უფლებების დაცვა; კანონპროექტის მიღება რადიკალურად გააუარესებს უფლებრივ გარემოს სახელმწიფოში, დააზიანებს ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის პროცესს,[2] მათ შორის, დააბრკოლებს საქართველოს სვლას ევროკავშირის წევრობისკენ, რომლის არც ერთ წევრ ქვეყანაში მსგავსი კანონი არ მოქმედებს. ამასთანავე, ამ კანონის აღსრულება შეუძლებელი იქნება საქართველოს ასიათასობით მოქალაქისთვის განუზომელი ზიანის მიყენების გარეშე.

ზემოთ წარმოდგენილი მიზეზების გამო, მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის დასახვა/შესრულება და რეალობაში განხორციელება შეუძლებელი იქნება.

ხელმომწერი ორგანიზაციები მოგიწოდებთ, საჯაროდ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია კანონპროექტთან დაკავშირებით, და, შეგვხვდეთ პირად ფორმატში.

გთხოვთ, თქვენი პოზიციის შესახებ გვაცნობოთ წერილობით.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)
- თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობის ცენტრი_EPC
- დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
- ასოციაცია ,,დეა''

---

[2] იხ. მაგალითად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის განცხადება უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით: ***„მსგავსი კანონის მიღებამ შესაძლოა შეაფერხოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, ქვეყნის სტრატეგია რომელსაც ჩვენ საქართველოს მთავრობასთან ერთად მოვაწერეთ ხელი.“*** 26.02.2023, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/ka/georgia/news/un-statement-on-draft-law-on-transparency-of-foreign-influence, [27.02.2023];
იხ. ასევე, ევროკავშირის პრესსპიკერ პიტერ სტანოს განცხადება, 21.02.2023, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/opinion/656136/?fbclid=IwAR0qf-60u_eeITQxyhq1y3SCUDJrraeDO3GnbDRiPhk16nJuvCJJu1ezQUU, [27.02.2023]; იხ. ასევე, ევროპის საბჭოს კომისიონერის შეფასება, 28.02.2023, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/commissioner/-/commissioner-urges-the-georgian-parliament-to-reject-the-draft-law-on-transparency-of-foreign-influence-?fbclid=IwAR1SrKlFQp4GkG83yzAXWuutoDS9B9mkPKTlDzJa-93Gm0VSpzWyaWMJLrI, [28.02.2023].

- სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი - თემი ქედელი
- კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
- ა/ო ,,ვიმეგობროთ''
- მოძრაობა ,,ინკლუზიური საზოგადოება - საქართველო''
- სოლიდარობის თემი
- ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია
- ღია სივრცე კავკასია (COS)
- საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია
- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
- თანასწორობის მოძრაობა
- ასოციაცია ანიკა
- ზუგდიდის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
- შშმ ქალთა გაძლიერების ცენტრი
- იდენტობა იუს
- ქუთაისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ეროვნული ქსელი
- საფარი
- ფონდი გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისი
- ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)
- საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქსელი (GDN)
- შშმ ბავშვთა მშობელთა ორგანიზაცია “ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ”- FAD
- უფლებები საქართველო
- ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
- კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი
- დემოკრატიული განვითარების ცენტრი
- ფონდი აურესი
- ა(ა)იპ “მშობლები”
- ა(ა)იპ “ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის”
- ა(ა)იპ “ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი”
- ა(ა)იპ “დიდი ოჯახი”
- ა(ა)იპ “თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი”
- ა(ა)იპ “შშმ ქალთა ალიანსი”
- ა(ა)იპ “თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის”

- ა(ა)იპ “ფსიქიატრიის სერვისის მომხმარებელთა და გადარჩენილთა საქართველოს ქსელი”
- ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
- ა(ა)იპ “ოდა ქეარი”
- ა(ა)იპ "ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი"
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია “ჰანგი”
- ა(ა)იპ “პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის”
- საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია
- ა(ა)იპ “რეა
- ა(ა)იპ ,,მზის შვილები"
- კოალიცია მოძრაობა ცვლილებებისთვის
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი
- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)
- კანონის უზენაესობის ცენტრი
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- თბილისი პრაიდი
- ქვიარ ასოციაცია - თემიდა